განკარგულება:**გ-37. 37230604**
თარიღი:**01/03/2023**

განკარგულება N15

01 მარტი 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (ს/კ 26.26.56.186 და ს/კ 26.26.57.386) შპს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი "მერცხალი"-სთვის (ს.ნ. 437373067) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში, შ. რუსთაველის ქუჩა N 39-ში, (ს/კ 26.26.56.186) მდებარე 31694.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით (ცენტრალური სტადიონი) და ქალაქ ოზურგეთში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე (ს/კ 26.26.57.386) მდებარე 7212.00 კვმ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით („ლაშეს სტადიონი“) სარგებლობაში, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, შპს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი "მერცხალი"-სთვის (ს.ნ. 437373067) გადაცემისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი